პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 162 (10556)
შაბათი
14
ივლისი
1956 წ.

ფასი 20 კაპ.

მარქსიზმ-ლენინიზმისადმი კომუნისტური პარტიის ერთგულების ამსახველი ისტორიული დოკუმენტი

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი ყურადღებითა და უმაგალითო აქტივობით განიხილავენ და ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებას „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“. ამ ისტორიულ დოკუმენტს უდიდესი პოლიტიკური და თეორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის მოღვაწეობასა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მკაფიოდ არის გამოხატული პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების ცხოველმყოფელი ძალა და სიმტკიცე. ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ახალ ეტაპს მოასწავებენ მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს განვითარებაში, განსაკუთრებული ძალით ცხადყოფენ ჩვენი პარტიის იდეურ ძლიერებასა და მისი რიგების გრანიტისებურ ერთიანობას, მის უსაზღვრო ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, ხალხის ინტერესებისადმი. ყრილობამ მოგვცა თანამედროვე საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის ღრმა ანალიზი, შეაიარაღა კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი კომუნიზმის აშენებისათვის შემდგომი ბრძოლის დიადი პროგრამით. ყრილობის მიერ წამოყენებული დიდმნიშვნელოვანი პრინციპული, თეორიული დებულებანი სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის, სოციალიზმზე ქვეყნების გადასვლის ფორმების სხვადასხვაობის შესახებ კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ საერთაშორისო ვითარებაზე, ხელს უწყობენ დაძაბულობის შენელებას, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი მთელი ძალების მოქმედების ერთიანობის ზრდას, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას.

პარტიის XX ყრილობის მუშაობაში და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში დიდი ადგილი დაიკავა საკითხმა პიროვნების კულტის შესახებ. ყრილობამ აღნიშნა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი სავსებით სწორად და დროზე გამოვიდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომლის გავრცელება ამცირებდა პარტიისა და ხალხის მასების როლს, ამცირებდა პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის როლს და ხშირად იწვევდა სერიოზულ შეცდომებს მუშაობაში, სოციალისტური კანონიერების უხეშ დარღვევებს. ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს თანმიმდევრულად განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ სავსებით დაძლეულ იქნას პიროვნების კულტი, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის, „ლიკვიდირებულ იქნას მისი შედეგები პარტიული, სახელმწიფო და იდეოლოგიური მუშაობის ყველა დარგში, ზუსტად განხორციელდეს პარტიული ცხოვრების ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპები, რომლებიც დიდმა ლენინმა შეიმუშავა.

პიროვნების კულტმა დიდი ზიანი მიაყენა პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული კადრების აღზრდის საქმეს, ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობას. სწორედ პიროვნების კულტის შედეგია ის, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში საქართველოში დაუსჯელად პარპაშობდა საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის ბერიას დანაშაულებრივი ბანდა. მტრების ხრიკების შედეგად უდანაშაულოდ დაისაჯა ბევრი პატიოსანი კომუნისტი და უპარტიო საბჭოთა ადამიანი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინური ბრძოლა სტალინის სიკეთილისთანავე დაადგა პიროვნების კულტისა და მისი მძიმე შედეგების წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლის გზას. სამ წელზე მეტია, რაც ჩვენი პარტია თანმიმდევრულ ბრძოლას ეწევა ი. ბ. სტალინის კულტის წინააღმდეგ, მტკიცედ სძლევს მის მავნე შედეგებს. პიროვნების კულტის კრიტიკაში, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, პარტია ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დებულებებს ისტორიაში ხალხის მასების შემოქმედებითი როლის შესახებ. მტკიცედ და გაბედულად გამოვიდა რა პიროვნების კულტისა და მისი შედეგების წინააღმდეგ, აშკარად გააკრიტიკა რა შეცდომები, რომლებიც ამ კულტმა წარმოშვა, პარტიამ განსაკუთრებული ძალით ცხადყო თავისი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებისადმი, ხალხის ინტერესებისადმი, ზრუნვა იმისათვის, რომ განუხრელად ვითარდებოდეს პარტიული და საბჭოთა დემოკრატია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის.

„პიროვნების კულტის საკითხში გაბედული და ულმობელი თვითკრიტიკა, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სოციალისტური წყობილების ძალისა და სიმტკიცის ახალი მკაფიო დადასტურებაა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ვერც ერთი მმართველი პარტია ვერასოდეს ვერ გასწევდა რისკს გადაედგა ასეთი ნაბიჯი. პირიქით, ისინი შეეცდებოდნენ დუმილით აევლოთ გვერდი, დაემალათ ხალხისათვის ასეთი არასასიამოვნო ფაქტები. მაგრამ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც აღზრდილია მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციურ პრინციპებზე, თქვა მთელი სიმართლე, რა მწარეც უნდა ყოფილიყო იგი. პარტიამ ეს ნაბიჯი გადადგა მხოლოდ და მხოლოდ თავისი ინიციატივით, ხელმძღვანელობს რა პრინციპული მოსაზრებებით. იგი ეყრდნობოდა იმას, რომ თუ გამოსვლა სტალინის კულტის წინააღმდეგ ზოგიერთ დროებითს სიძნელეს გამოიწვევს, პერსპექტივაში, მუშათა კლასის ძირეული ინტერესებისა და საბოლოო მიზნების თვალსაზრისით, ეს უდიდეს დადებით შედეგს მოგვცემს“.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც გულდასმით და განსაკუთრებული ინტერესით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, მასში ნახულობენ იმ ობიექტური მიზეზებისა და სუბიექტური ფაქტორების ამომწურავ ახსნა-განმარტებას, რომლებმაც გამოიწვიეს პიროვნების კულტის წარმოშობა და გავრცელება. ისინი ერთსულოვნად იწონებენ იმ ღონისძიებებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ახორციელებენ პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დასაძლევად.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. მხურვალე და ერთსულოვანი მოწონება, რომელსაც მშრომელები იჩენენ, ამ დოკუმენტის სისწორის საუკეთესო დადასტურებაა. პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის საკითხის განხილვა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს პარტიის წევრებისა და უპარტიოებს უდიდესი აქტივობის ვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზი პარტიისა და მთელი ჩვენი ხალხის სრულ მოწონებასა და მხარდაჭერას პოულობს. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლა გამოწვეულია კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებით. პარტია კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ხალხს, შემდგომ განამტკიცა თავისი რიგების ბრძოლისუნარიანობა. საბჭოთა წყობილება ძლიერია მასების შეგნებით, გმირი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომით.

რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში ათასობით აგიტატორი და პროპაგანდისტი ღრმად ასწავლის და განუმარტავს მშრომელებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“. ეცნობიან რა ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს, საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ ღონისძიებებს პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ, გამოთქვამენ მტკიცე მზადყოფნას კიდევ უფრო მჭიდროდ დაიარაზმონ თავიანთი ნაკადი და ბრძენი ბელადის — მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მთელი ძალები მოახმარონ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებას.

— პარტიისა და ხალხის ერთიანობა ურღვევია, — განაცხადა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მოწინავე მღარველმა ლ. გოკაძემ,—ყველა თავის წარმატებას ჩვენი ხალხი უმადლის კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას, მის დაუცხრომელ ორგანიზატორულ საქმიანობას მშრომელთა საკეთილდღეოდ. ჩვენი პარტია ყოველთვის სამართლეს ეუბნება ხალხს. სწორედ ეს სიმართლე, ეს ერთიანობა ხალხთან, უანგარო ერთგულება ლენინის ანდერძისადმი არის ჩვენი კომუნისტური პარტიის ძალა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობს, რომ პარტია მტკიცედ და გაბედულად ამხილებს შეცდომებს და გვიჩვენებს ამ შეცდომების დაძლევის გზებს. სძლევს რა შეცდომებს და ნაკლოვანებებს, რომლებიც პიროვნების კულტთან არის დაკავშირებული, პარტია განუხრელად აძლიერებს თავისი რიგების ბრძოლისუნარიანობას.

პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის ამოცანა ის არის, რომ ფართოდ განუმარტონ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება, აწარმოონ ბრძოლა პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევისათვის, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგვიწოდებს თანმიმდევრულად დავიცვათ მთელ ჩვენს მუშაობაში მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი დებულებანი ხალხის როგორც ისტორიის შემოქმედის შესახებ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის რევოლუციურ ბრძოლაში მარქსისტული პარტიის გადამწყვეტი როლის შესახებ. საჭიროა მტკიცედ განვაგრძოთ მუშაობა პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების, უწინარეს ყოვლისა უმაღლესი პრინციპის — ხელმძღვანელობის კოლექტიურობის — უმტკიცესად დაცვისათვის, პარტიული ცხოვრების იმ ნორმების ურყევად დაცვისათვის, რომლებიც ჩაწერილია პარტიის წესდებაში, შინაპარტიული დემოკრატიის განმტკიცებისა და ამ საფუძველზე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღებისათვის.

საბჭოთა ხალხი უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალყურს სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მუშაობას. სესიამ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენება სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის შესახებ. კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა კავშირში საპენსიო საქმის ძირეულ გაუმჯობესებას, ასახავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერების ზრდას და მკაფიოდ მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშით, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი განუხრელად მიდის წინ და ახალ წარმატებებს აღწევს კომუნიზმის მშენებლობაში.

დ ე პ ე შ ა

მ ი ს ა ღ მ ა ტ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ბ ა ტ ო ნ რ ე ნ ე კ ო ტ ი ს ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ს

პარიზი.

ბატონო პრეზიდენტო, ნება მიბოძეთ გადმოგცეთ თქვენ და ფრანგ ხალხს საბჭოთა კავშირის ხალხების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი გულითადი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები საფრანგეთის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის გამო.

გამოვთქვამ რწმენას, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის წარმატებით განვითარდება და განმტკიცდება ნაყოფიერი თანამშრომლობა და მეგობრობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ვუსურვებ აყვავებასა და ბედნიერებას დიდ თავისუფლებისმოყვარე ფრანგ ხალხს.

ჯ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი, 1956 წლის 13 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

კავშირის საბჭოს სხდომები

კავშირის საბჭოს სხდომაზე, რომელიც 12 ივლისს გაიმართა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის **ა. პ. ვოლკოვის** თავმჯდომარეობით, თანამოხსენება სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის შესახებ გააკეთა კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ **მ. ა. იასნოვმა.**

— სოციალური დაზღვევა საბჭოთა კავშირში, — ამბობს იგი, — მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში საბჭოთა მოქალაქეების მატერიალური უზრუნველყოფის კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფორმაა. სოციალური უზრუნველყოფის საბჭოთა სისტემა მისი მრავალფეროვანი სახეობებითა და ფორმებით ასახავს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივ წყობილებას.

ამხ. იასნოვი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი, რომელსაც უმაღლესი საბჭოს სესია განიხილავს, მთელმა ხალხმა განიხილა და მოიწონა. კანონის პროექტი დაწვრილებით განიხილეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებში. გარდა ამისა, კომისიების წევრებმა ამ პროექტის განხილვა მოაწყეს ადგილებზე დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების მონაწილეობით. კანონის პროექტზე დასკვნების მოსამზადებლად და მოქალაქეთა მრავალი წინადადების განსახილველად მუშაობაში ჩაბმული იყვნენ სამინისტროების, უწყებების, საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლები და მთელი რიგი მეცნიერი მუშაკები.

აღნიშნა რა, რომ კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია ერთსულოვნად იწონებს სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს, ამხ. იასნოვმა განაცხადა, რომ კომისია ამასთან ერთად რჩევას იძლევა შეტანილ იქნას პროექტში ზოგიერთი დამატება და შესწორება მშრომელთაგან მიღებულ წინადადებათა გათვალისწინებით. კერძოდ, კომისიას საჭიროდ მიაჩნია დაწესდეს შეღავათები მრავალშვილიანი დედებისათვის პენსიების დანიშვნის დროს და წინადადებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნას პენსიის უფლება იმ პირთათვის, რომლებმაც იშვილეს უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები, გათვალისწინებულ იქნას მოხუცებულობის გამო პენსიებზე დანამატი მუშაობის საერთო სტაჟისათვის.

დასასრულ ამხ. იასნოვმა განაცხადა, რომ კომისიამ შესაძლებლად ვერ დაინახა მხარი დაეჭირა ზოგიერთი წინადადებისათვის. მაგალითად, მხარი ვერ დაუჭირა წინადადებას, რომ შემცირდეს მოხუცებულობის გამო პენსიის დაპროექტებული მაქსიმალური ოდენობა. ასეთი წინადადება, კომისიის აზრით, ლახავს ყველაზე კვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების ინტერესებს.

შემდეგ კავშირის საბჭო იწყებს სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის განხილვას.

დეპუტატმა **ვ. ი. კოზლოვმა** (ბელორუსიის სსრ) თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა პენსიით უზრუნველყოფის საქმის ორგანიზაციის საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი მოითხოვს საბჭოთა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღებას. უნდა ვაღიაროთ, ამბობს იგი, რომ ამ ბოლო დრომდე ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები ყოველთვის როდი აქცევდნენ ამ საკითხებს ჯეროვან ყურადღებას, საკმაო კონტროლს არ უწევდნენ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა მუშაობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა კადრების სწორად შერჩევას, რათა იქ მუშაობდნენ პატიოსანი, გულისხმიერი ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ დროზე და სწორად გადაჭრან ყველა საკითხი, გონივრულად ხარჯონ სახელმწიფო სახსრები.

დასასრულ ამხ. კოზლოვმა მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის შესწორებებითა და დამატებებით.

დეპუტატი **ნ. ი. ჟურინი** (ყაზახეთის სსრ) ამბობს, რომ ყაზახეთის მშრომელები დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს და იწონებენ მას. ამასთან ერთად შემოტანილია მთელი რიგი წინადადებანი, დამატებანი და შესწორებანი. კერძოდ, რეკომენდებულია მრავალშვილიან ქალებს მოხუცებულობის გამო პენსია დაენიშნოთ შრომის ხასიათისა და პირობების მიუხედავად 50 წლის ასაკში და არა 55 წლის ასაკში. მერვე მუხლით, ამბობს შემდეგ ორატორი, გათვალისწინებულია დანამატი მოხუცებულობის პენსიაზე 15 წლისა და მეტი მუშაობის განუწყვეტელი სტაჟისათვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამასთან ერთად წახალისების ღირსნი არიან ის პირები, რომლებსაც უფრო ხანგრძლივი შრომის სტაჟი აქვთ.

სიტყვა ეძლევა რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს **ნ. ა. მურავიოვას.** იგი ამბობს, რომ რუსეთის ფედერაციაში განუწყვეტლივ იზრდება სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები. 1955 წელს მარტო პენსიებისა და დახმარების გაცემაზე დაიხარჯა 18 მილიარდ მანეთზე მეტი.

ამხ. მურავიოვა მხარს უჭერს კანონის პროექტს და საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის მიერ შეტანილ წინადადებებს, კერძოდ წინადადებას, რომ მძიმე პირობებში მომუშავე მრავალშვილიან დედებსა და ქალებს დაუწესდეთ კიდევ უფრო დიდი შეღავათები პენსიის მისაღებად.

ახალი კანონის ძალაში შესვლასთან ერთად განუზომლად გაიზრდება საექიმო შრომითი ექსპერტიზის როლი. ჩვენ, ამბობს ორატორი, ფართოდ უნდა დავნერგოთ საექსპერტო კომისიების მუშაობის პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები და მნიშვნელოვნად გავაფართოოთ საძეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შრომისუნარიანობის ექსპერტიზის დარგში. ამასთან დაკავშირებით ამხ. მურავიოვა აკრიტიკებს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიას და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს. „შემდეგ დეპუტატი მურავიოვა ეხება მარტოხელა მოხუცებული მოქალაქეებისათვის სახლების მშენებლობისა და ინვალიდთა შრომითი მოწყობის საკითხებს.

რუსეთის ფედერაციის სოციალური უზრუნველყოფის მუშაკები, აცხადებს დასასრულ ორატორი, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა საპენსიო საქმის ორგანიზაციაში.

სიტყვას ამბობს დეპუტატი **ა. კ. გრენი** (ესტონეთის სსრ). იგი აცხადებს, რომ ესტონელი ხალხი მხურვალედ იწონებს სახელმწიფო პენსიების კანონპროექტს. ხალხმრავალ კრებებზე, სადაც ამ დოკუმენტს განიხილავდნენ, რესპუბლიკის მშრომელები გამოთქვამდნენ კომუნისტური პარტიისადმი მადლობას მშრომელი ადამიანისათვის ზრუნვის გამო.

დეპუტატი გრენი დასასრულ აცხადებს, რომ იგი უერთდება სხვა ორატორებს, რომლებმაც მოითხოვეს დამტკიცდეს სახელმწიფო პენსიების კანონის წარმოდგენილი პროექტი.

სიტყვა ეძლევა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს დეპუტატ **ლ. ნ. სოლოვიოვს.** იგი ამბობს, რომ საბჭოთა პროფკავშირები, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 42 მილიონზე მეტ მუშასა და მოსამსახურეს, მხურვალედ იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს.

ორატორი აღნიშნავს, რომ პენსიების კანონის პროექტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ბევრი წინადადება მიიღეს. ეს წინადადებანი ეხება, უმთავრესად, მოხუცებულობის გამო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო ასაკის შემცირებას, განსაკუთრებით ქალებისათვის, აგრეთვე მომუშავე პენსიონერებისათვის პენსიების მიცემის წესის შეცვლას და სხვ. მიზანშეწონილია მხარი დაეჭიროს ამ შესწორებებს, რადგან ისინი ასახავენ მშრომელთა სურვილებს და აუმჯობესებენ საპენსიო კანონმდებლობასა და სოციალურ უზრუნველყოფას.

საკავშირო პროფსაბჭოს და პროფკავშირულ კომიტეტებს, ამბობს ამხ. სოლოვიოვი, თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ არა მარტო განუმარტონ მასებს იმ კანონის ღრმა აზრი, რომელსაც ეს სესია იღებს, არამედ აქტიურადაც შეუწყონ ხელი სახელმწიფო ორგანოებს პენსიით უზრუნველყოფის ახალი პრინციპების განხორციელებაში.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ს. ა. კოვპაკს** (უკრაინის სსრ). სოციალისტური სახელმწიფოს ზრუნვა საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ამბობს იგი, დიდი და მრავალმხრივია. მაგალითად, უკრაინაში ხორციელდება საბინაო მშენებლობის, ქალაქების კეთილმოწყობის დიდი სამუშაოები. მარტო მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში სახელმწიფო ასიგნობათა, აგრეთვე საწარმოთა ფონდებისა და სხვა სახსრების საშუალებით რესპუბლიკაში აშენდა 16 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა, 7.600 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი ააშენა ქალაქის მოსახლეობამ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით. მეხუთე ხუთწლედში 460 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი ააშენეს კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში თითქმის 20-ჯერ გაფართოვდა უკრაინაში სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი, მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი ახალი დიდი წვლილი იქნება მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად, აცხადებს ამხ. კოვპაკი, საბჭოთა უკრაინის მშრომელები კიდევ უფრო აძლიერებენ შრომითს აქტივობას.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე დეპუტატებმა **მ. ს. კომაროვმა** (რსფსრ), **ვ. ა. პროკოფიევმა** (რსფსრ), **ი. ხ. ხაშიმოვმა** (უზბეკეთის სსრ), **ბ. ა. ბარანაუსკასმა** (ლიტვის სსრ).

* * *

კავშირის საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიხსნა 13 ივლისს დილის 9 საათზე კავშირის საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ა. პ. ვოლკოვის** თავმჯდომარეობით, პირველი გამოვიდა დეპუტატი **ე. ი. არტემიევი** (ალტაის მხარე). მან ილაპარაკა იმაზე, რომ მხარეს [illegible] ბი, მექანიზატორ[illegible] ვიან საბჭოთა [illegible] პარტიის XX [illegible] ლებათა განხორციელებისათვის. ალტაის მხარე, წარსულში რუსეთის მიყრუებული განაპირა კუთხე, ამბობს ორატორი, გახდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ბეღელი, ხოლო მისი ქალაქები — დიდი ინდუსტრიული ცენტრები. უკვე მიმდინარე წლის გაზაფხულზე ნათესი ფართობი მხარეში შეადგენდა 7 მილიონ ჰექტარზე მეტს, აქედან სიმინდი დათესილია 800 ათას ჰექტარზე მეტი. უამირი და ნასვენი მიწების ათვისების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია დიდი გადაჭარბებით. ალტაის მინდვრებში კარგი მოსავალი მწიფდება. მშრომელთა დიდ აქტივობას მოწმობს ის ფაქტი, რომ მხარის კოლმეურნეობათა გამგეობების ანგარიშების განხილვაში მონაწილეობა მიიღო ასათასობით კოლმეურნემ. კოლმეურნეობათა განვითარების ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისა და შედგენისას შემოტანილია ბევრი ძვირფასი წინადადება. მასების პოლიტიკური აქტივობის ზრდის მკაფიო მაგალითია აგრეთვე სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. მოიწონეს რა ეს პროექტი, მხარის მშრომელებმა შემოიტანეს თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **მ. მ. პრივალოვს** (ვემეროვოს ოლქი). ოლქის შახტებში, ბრძოლებთან, მარტენის ღუმელებთან და საგლინავ დგანებთან, ამბობს იგი, თავდადებით შრომობენ შესანიშნავი ადამიანები, რომლებსაც უყვართ და იციან თავიანთი საქმე. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც დიდი ხანია შეეძლოთ პენსიაზე გადასვლა. სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ მოხუცებულობას. მაგრამ ისინი განაგრძობენ მუშაობას და უზიარებენ თავიანთ ცხოვრებისა და საწარმოო გამოცდილებას ახალგაზრდა მუშებს. ორატორი ასახელებს მეფოლადე ბურკატსკის, რომელმაც თავისი მუშაობის წლების მანძილზე გამოადნო 2 მილიონი ტონა ფოლადი, მეფოლადე ბედოშჩუკსა და სხვებს. ასეთი ადამიანები, ხოლო ისინი ჩვენში ასობით, ათასობით არიან, ამბობს დეპუტატი, თავიანთი თავდადებული შრომით განამტკიცებენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერებას.

გამოდის დეპუტატი **მ. ტურსუნ-ზადე** (ტაჯიკეთის სსრ). იგი აღტაცებით ლაპარაკობს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, იმაზე, თუ როგორ ხორციელდება ყრილობის გადაწყვეტილებანი. ტაჯიკეთს რევოლუციამდე უწოდებდნენ მონების ქვეყანას, თქვა მირზა ტურსუნ-ზადემ. და ყველაზე საშინელი უბედურება იყო ეოხუცებულობა. რამდენიც უნდა ემუშავა ადამიანს თავის სიცოცხლეში, რა დიდებული ფასეულობანიც უნდა შეექმნა — მას მაინც მოელოდა გაჭირვება და უღიმღამო ცხოვრება, საკუთარ ოჯახსაც კი უმძიმდა მისი რჩენა. რევოლუციამ გაათავისუფლა ტაჯიკეთის ადამიანები ამ შიშისაგან. ჩემს ხალხს დიდი ოქტომბრის შემდეგ აღარ აწუხებს ეს ტრაგედია. იგი ხედავს, რომ მისი სიცოცხლისათვის ზრუნავს არა მარტო თვითონ ის, არამედ აგრეთვე ძლიერი, სამართლიანი სახელმწიფო. ადამიანის მოხუცებულობა გახდა არა მისი უბედურება, არამედ მისი სიამაყე, იგი გახდა საპატიო.

ახალი კანონი, რომელსაც ახლა იღებს სახელმწიფო, თავისი ძალების კიდევ უფრო მეტ რწმენას აძლევს ადამიანებს. ხალხმა იცის, რომ იგი აბედნიერებს სამშობლოს იმისათვის, რომ მან გააბედნიეროს მისი აწმყო და მომავალი.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს, თქვა დეპუტატმა **ნ. გ. ვისტავნაიამ** (ვოროშილოვგრადის ოლქი), ღრმად აქვთ შეგნებული, რომ სოციალისტური ეკონომიკის ზრდა და განვითარება, პროდუქციის გამოშვების გადიდება და მისი თვითღირებულების შემცირება ხალხის ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესების მთავარი წყაროა. ამიტომ ოლქის მშრომელნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო გეგმები, უკეთ გამოიყენონ შინაგანი რეზერვები, დანერგონ ახალი ტექნიკა და შრომის მოწინავე მეთოდები.

სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი მხურვალედ მოიწონეს ოლქის მშრომელთა კრებებზე.

დეპუტატი ი. გ. გავრილოვი (ლენინგრადის ოლქი) ლაპარაკობს იმაზე, რომ ორგანოები, რომლებიც განახორციელებენ ახალ კანონს პენსიების შესახებ, გულდასმით უნდა მოემზადონ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის, ფრთხილად, გულისხმიერად და ყურადღებით მოეკყრან ყველას, ვინც მათ მიმართავს. მას შემოაქვს წინადადება აგრეთვე შეტანილ იქნას კანონში დამატება — საკავშირო ფლოტის მეზღვაურთა შრომა მიეკუთვნოს მძიმე შრომის კატეგორიას და შესაბამისად დაენიშნოს მათ პენსიები.

დეპუტატმა **გ. ფ. ანტოსიაკმა** (მოლდავეთის სსრ) უამბო სესიას, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პირველ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის განვითარებაში. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შედეგად ხორცის დამზადებისა

(დასასრული მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

კავშირის საბჭოს სხდომები

(დასასრული)

და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 104,5 პროცენტით, 28 ივნისისათვის რესპუბლიკის კოლძეურნეობებმა შეასრულეს რძის დამზადების წლიური გეგმა და იკისრეს ვალდებულება უკვე მიმდინარე წელს მისცენ ჩვენს ქვეყანას იმდენი რძე, რამდენიც გეგმით გათვალისწინებულია 1960 წლისათვის. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობის საფუძველზე ვითარდება მოლდავიელი ხალხის კულტურა და უმჯობესდება მისი კეთილდღეობა.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ა. დ. მილნიკოვი** — უძველესი ქარხნის „წითელი სორმოვოს“ (ქალაქი გორკი) ხარატი. ვეღარ იცნობთ ახლა, ამბობს იგი, ა. მ. გორკის მიერ რომანში „დედა“ აღწერილ ძველ სორმოვოს გარეუბანს. უბადრუკი, დაფერდებული, გაჟვარტლული ჭოხების ადგილზე აგებულია საცხოვრებელი სახლების მრავალსართულიანი კორპუსები, აშენდა კულტურის სასახლე, კინოთეატრი, კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლები ახალგაზრდა მუშებისათვის და ბევრი სხვა რამ. დიდად ზრუნავენ მუშებისა და მოსამსახურეების ჯანმრთელობისათვის. ერთი წლის განმავლობაში დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურთა შესაძენად დაიხარჯა ერთ მილიონ მანეთზე მეტი. ქარხანასთან არის პოლიკლინიკა, პროფილაქტორიუმი, აღჭურვილი უახლესი სამედიცინო მოწყობილობით. სახელმწიფო დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს შრომის ინვალიდებს, მოხუც სორმოვოელებს. პენსიების თანხა ქარხანაში ამჟამად შეადგენს 546 ათას მანეთს, ხოლო ახალი კანონის დამტკიცების შემდეგ იგი თითქმის ერთიორად გადიდდება.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **მ. დ. შჩეპაკინი** (ტულის ოლქი), **ი. ნ. ასკეროვი** (აზერბაიჯანის სსრ), **მ. ა. ჩუდინოვა** (იაკუტიის ასსრ), **გ. პ. სუხინი** (საქართველოს სსრ), **ტ. სიდიკბეკოვი** (ყირგიზეთის სსრ), **ი. მ. ტროფიმოვი** (იაროსლავლის ოლქი).

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღო კავშირის საბჭოს 23 დეპუტატმა. შემოვიდა წინადადება კამათის დამთავრების შესახებ. ეს წინადადება მიიღეს.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ამხ. ნ. ა. ბულგანინმა.**

სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის განხილვა და საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების თანამოხსენებანი, თქვა მან, მეტად სასარგებლოა. წინადადებები და შესწორებები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებენ კანონს. კანონის პროექტის გამოქვეყნებამ უდიდესი როლი შეასრულა და შესაძლო გახადა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის ფართოდ განხილვა.

ამ სესიაზე მომხდარი განხილვიდან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი შეესაბამება ჩვენი პარტიის XX ყრილობის მითითებებს და რომ იგი აკმაყოფილებს მშრომელთა ინტერესებს.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა, განაზოგადეს რა კანონის პროექტის ცალკეული მუხლების შესწორებები და წინადადებანი, სწორად გამოყვეს და შემოიტანეს სესიის განსახილველად ყველაზე მნიშვნელოვანი და მისაღები ამ წინადადებათაგან. თავიანთ გამოსვლებში სესიაზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს კანონის ძირითადი დებულებანი, მხარი დაუჭირეს წინადადებებსა და შესწორებებს, რომლებიც საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა წარმოადგინეს, შეიტანეს მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი დამატებები.

კანონის პროექტმა მშრომელთა ცხოველი ინტერესი და შემოქმედებითი ინიციატივა გამოიწვია, ხოლო სესიაზე მიღებულმა პროექტის განხილვის წესმა საშუალება მოგვცა გამოგვეყენებინა ეს სახალხო ინიციატივა. ამით სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის განხილვამ ერთხელ კიდევ დაგვანახა პარტიის, მთავრობისა და ხალხის ღრმა და ურღვევი კავშირი.

შემდეგ ამხ. ნ. ა. ბულგანინი ეხება მთელ რიგ შემოტანილ შესწორებათა და დამატებათა განხილვას.

მთავრობას, ამბობს იგი, სწორად მიაჩნია საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების წინადადება — დაუწესდეს შეღავათები დამატებითი წანამატის სახით მოხუცებულობის პენსიის 10 პროცენტის ოდენობით 15 წელზე მეტი განუწყვეტელი სტაჟისათვის ან შრომის საერთო სტაჟისათვის მამაკაცებს, რომლებსაც უმუშავნიათ არანაკლებ 35 წლისა, ხოლო ქალებს არანაკლებ 30 წლისა. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც იღებენ მოხუცებულობის პენსიას შეღავათიან პირობებში, პენსიის წანამატი უნდა მიეცეთ საერთო სტაჟისათვის, რომელიც ნორმას აღემატება არა 15 წლით, არამედ 10 წლით.

მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია მიღებულ იქნეს შესწორება, რომელიც ითვალისწინებს, რომ ქალებს, რომლებმაც შობეს 5 და მეტი შვილი და აღზარდეს ისინი 8 წლის ასაკამდე, მოხუცებულობის პენსია ეძლეოდეთ 50 წლის მიღწევისას და არა ნაკლებ 15 წლის სტაჟის დროს, თუ მათ შრომის პირობების მიხედვით არა აქვთ უფლება მიიღონ იგი უფრო ადრე ასაკში. მისაღებია წინადადება დაენიშნოს ინვალიდობის პენსია აგრეთვე იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ინვალიდი გახდნენ შრომის სტაჟის დაწყებამდე; თუ ისინი ინვალიდი გახდნენ მუშაობის დაწყებამდე, პენსიები ენიშნებათ სულ ცოტა ერთი წლის სტაჟის დროს.

შემდეგ ამხ. ბულგანინი აცხადებს, რომ მთავრობა ეთანხმება წინადადებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების პენსიით უზრუნველყოფის შემდგომ გაუმჯობესებას.

მინისტრთა საბჭოს შესაძლოდ მიაჩნია მიიღოს კანონის პროექტის დამატებანი, რომლებსაც დახუსტების ხასიათი აქვთ ან კანონმდებლურად განმტკიცებენ არსებულ პრაქტიკას.

ამხ. ნ. ა. ბულგანინმა შემდეგ აღნიშნა, რომ მთელი რიგი შესწორებანი და წინადადებანი არ შეიძლება მიღებულ იქნეს.

ჩვენი სახელმწიფო, ამბობს იგი დასასრულ, ისე კარგად მიდის წინ, რომ მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. ის გარემოება, რომ ჩვენ დღეს შეგვიძლია მივიღოთ კანონი, რომელიც დამატებით მოითხოვს ჩვენგან 13 მილიარდ მანეთს, ცხადყოფს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ ძლიერებას, რომ მას უდიდესი რესურსები მოეპოვება. ეს კანონი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ჩვენი პარტია, ჩვენი მთავრობა აკეთებენ, ასრულებენ ყოველივე იმას, რაც ჩვენ გვითხრა პარტიის XX ყრილობამ. მთელ თავიანთ საქმიანობას პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა უქვემდებარებენ ხალხის ინტერესებს, ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებასა და ზრდას. კანონი სავსებით ასახავს საბჭოთა ადამიანების ინტერესებს და შეესაბამება მათ სურვილებს. (საკდესი).

ბოსკოვიდან გაემგზავრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

13 ივლისს დილით მოსკოვიდან გაემგზავრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მარშალ კიმ ირ სენის მეთაურობით, რომელიც სტუმრად იყო სსრ კავშირში საბჭოთა მთავრობის მოწვევით. კორეელი ხალხის წარმომადგენელნი გაემგზავრნენ ვიზიტით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. მათ განზრახული აქვთ გზად გაიარონ სვერდლოვსკში.

ცენტრალურ აეროდრომზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრთა გასაცილებლად მოვიდნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, მ. გ. პერვუხინი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი, გზათა მინისტრი ბ. პ. ბეშჩევი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი, არმიის გენერლები მ. ს. მალინინი და ი. ა. სეროვი, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსი ს. ფ. ეკონორნკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. რ. კუზმინი და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელნი, ჟურნალისტები.

აეროდრომზე იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ საელჩოთა და მისიათა მეთაურები. იყო აგრეთვე დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

სპეციალურ ყარაულის უფროსის პატაკის შემდეგ შესრულებულ იქნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა და საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ა. ბულგანინმა ჩამოუარეს სპეციალურ ყარაულის მწყობრს. ამხანაგმა კიმ ირ სენმა მიკროფონთან წარმოთქვა სიტყვა. მიმართა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინსა და შეკრებილთ, მან თქვა:

— კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, დაამთავრა რა თავისი ვიზიტი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, სტოვებს მოსკოვს.

ნება მიბოძეთ მთავრობის დელეგაციის სახელით ერთხელ კიდევ გულითადი მადლობა ვუძღვნა საბჭოთა კავშირის მთავრობას, მოძმე საბჭოთა ხალხს გულთბილი, გულითადი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რაც გაგვიწიეთ თქვენს ქვეყანაში ყოფნის დროს. ისტორიული წარმატებები, რომლებსაც დიდმა საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია კომუნიზმის მშენებლობაში, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის უმაღლეს იდეალს, აღაფრთოვანებენ კორეელ ხალხს ახალ-ახალი გამარჯვების მისაღწევად მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

და ის დიდი დახმარება, რომელიც თქვენ გადაწყვიტეთ გაგვიწიოთ ამჟამად, კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა საბჭოთა მთავრობის და საბჭოთა ხალხის გულწრფელი და დიდი ზრუნვისა კორეელი ხალხის კეთილდღეობის უსწრაფესი გაუმჯობესებისა და მისი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სრული აღდგენისათვის.

ნება მიბოძეთ დელეგაციისა და მთელი კორეელი ხალხის სახელით ერთხელ კიდევ მოვახსენო უღრმესი მადლობა სსრ კავშირის მთავრობასა და საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან კომუნისტურ პარტიას მათი ახალი დიდი და უანგარო დახმარებისათვის და გისურვოთ დიდი წარმატებანი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. გაუმარჯოს კორეელი და საბჭოთა ხალხების მარადიულ, ურღვევ მეგობრობას! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის დიდ მშენებელს! გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის საიმედო ბურჯს!

ნახვამდის, ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო და ძმებო!

ამხანაგ კიმ ირ სენის გამოსვლას მჭუხარე ტაშით შეხვდნენ. ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა გზა მშვიდობისა უსურვა მარშალ კიმ ირ სენსა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს. პირველი თვითმფრინავი, რომელშიც იყვნენ ამხანაგები კიმ ირ სენი და პაკ დენ აი, რამდენიმე წუთში აფრინდა. შემდეგ მას მიჰყვა კიდევ ორი თვითმფრინავი, რომლებშიც არიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები.

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის საზღვრამდე კორეელი ხალხის წარმომადგენლებს აცილებენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. ი. ივანოვი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლი სან ჩო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. ფ. კურდიუკოვი. (საკდესი).

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის განცხადება

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი მხარს უჭერს მშვიდობის ნსოფლიო საბჭოს ბიუროს წერილს ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისადმი, რომ დაუყოვნებლივ დაიდოს შეთანხმება ატომგულის იარაღის ყველა სახეობის გამოცდისა და ექსპერიმენტული აფეთქების შეწყვეტის შესახებ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ეს მიმართვა შეესაბამება საბჭოთა ხალხის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს ხალხების მშვიდობისმოყვარულ გრძნობებს.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი მტკიცე რწმენას განოთქვამს, რომ საბჭოთა მთავრობა გადადგამს შემდგომ საჭირო ნაბიჯებს, რათა უმოკლეს ვადაში მიაღწიოს ატომგულის და წყალბადის იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის შესახებ სათანადო საერთაშორისო შეთანხმების დადებას.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმი

ნ. ტიხონოვი, ა. კორნეიჩუკი, ი. ერენბურგი, ა. სურკოვი, ა. ნესმეიანოვი, ნ. პოპოვა, ზ. ლებედევა, მ. კოტოვი, ი. ბლუშჩენკო, ვ. ბლაჟენოვი, ს. რომანოვსკი, მ. ნესტეროვი.

კამათი მოხსენების გამო „სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი“

ამხანაგ მ. ი. კუჭავას სიტყვა

(სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! ქართველი ხალხი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს. ეს შესანიშნავი დოკუმენტი ჩვენ მიგვაჩნია ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივი ზრუნვის ახალ მკაფიო გამოვლინებად. საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, ქალაქებსა და სოფლებში მშრომელები გამოთქვამენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და ნდობას კომუნისტური პარტიისადმი, სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ ბრძოლას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ბრძნულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

კანონიერი პატრიოტული სიამაყის გრძნობას განიცდის ყოველი საბჭოთა ადამიანი, როცა ხედავს, თუ რა გიგანტურ შუქურასავით უნათებს კაცობრიობას ბედნიერების გზას დღეს ჩვენი სახელმწიფო. ან როგორ არ უნდა იამაყო საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობის შესანიშნავი ნაყოფით და ძლიერებისა და ძალის, კეთილდღეობისა და კულტურის ზრდის კიდევ უფრო დიდი პერსპექტივებით, რომლებიც ჩვენს წინაშე დასახა პარტიის XX ყრილობამ!

ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მჭევრმეტყველურად მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მატებამ მარტო უკანასკნელ ხუთ წელიწადში 16 მილიონს გადააჭარბა. განვლილ ხუთ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ ყველა მშრომელთა ცხოვრება უფრო ბედნიერი გამხდარიყო.

მეხუთე ხუთწლედში მარტო საქართველოს სს რესპუბლიკაში სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებმა პენსიებისა და დახმარების გადასახდელად დახარჯეს მილიარდნახევარ მანეთზე მეტი. ათობით მილიონი მანეთით გამოიხატება შეღავათები, რომლებითაც სარგებლობენ სამამულო ომისა და შრომის ინვალიდები, აგრეთვე სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ მეომართა ოჯახები. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროები მნიშვნელოვან სახსრებს ხარჯავენ სამამულო ომის ინვალიდების, დაღუპულ მეომართა ოჯახების, ობლებისა და მოხუცი კოლმეურნეებისათვის ფულითა და ნატურით ერთდროული დახმარების გაწევით, სესხის მიცემით, აგრეთვე სანატორიუმებისა და კურორტების საგზურების გაცემით.

მაგრამ საბჭოთა ადამიანები მიღწეულს არ სჯერდებიან. ჩვენ უნდა ვეყრდნობოდეთ არა მარტო წარსულ წლებთან შედარებას, არამედ უმთავრესად ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ეპყრება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებს, დასახა შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების, ხალხის ცხოვრების დონისა და კულტურის ახალი ამაღლებისათვის ბრძოლის დიდი პროგრამა. ეს პროგრამა განმტკიცებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით. კომუნისტების სიტყვა და საქმე ერთია. ყრილობის შემდეგ მხოლოდ 4 თვემ განვლო, საბჭოთა ადამიანები კი უკვე ხედავენ, როგორ ხორციელდება პარტიის გადაწყვეტილებანი. ამ მცირე ვადაში განხორციელდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, როგორიც არის სამუშაო დღის შემცირება დასასვენებელი დღეებისა და უქმე დღეების წინადღეებში, ხოლო მოზარდებისათვის მთელი სამუშაო კვირის განმავლობაში; გადიდებულია შვებულება ორსულობისა და მშობიაობის დროს; გაუქმებულია სწავლის ქირა საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; იქმნება სკოლა-ინტერნატების ფართო ქსელი, წესრიგში მოგვყავს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობა, ხორციელდება საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

დიდი მნიშვნელობა აქვს პენსიით უზრუნველყოფის ძირეულ გაუმჯობესებას, რასაც ითვალისწინებს კანონის პროექტი, რომელსაც სესიაზე განვიხილავთ. ახალი კანონი ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ადასტურებს სსრ კავშირის მზარდ ძლიერებას, საბჭოთა ქვეყნის აყვავებას, ადასტურებს სოციალისტური წყობილების განუზომელ უპირატესობას.

სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს მხურვალედ გამოეხმაურნენ საბჭოთა საქართველოს მშრომელები. რესპუბლიკის საწარმოებში, მტს-ებში, დაწესებულებებში გაიმართა მშრომელთა საუბრები და კრებები. გაეცნენ რა კანონის პროექტს, საქართველოს სსრ მშრომელები სულით და გულით უძღვნიან მადლობას პარტიასა და მთავრობას ზრუნვისათვის, რომელსაც ისინი საბჭოთა ადამიანებისადმი იჩენენ მათ უზრუნველყოფად მოხუცებულობაში, ინვალიდობის ან მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში.

„მე უკვე მესამოცე წელში გადავდექი, — განაცხადა კრებაზე თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ოსტატმა ამხ. დოლიძემ. — ჩვენს ფაბრიკაში 20 წელია ვმუშაობ. თუ დასასვენებლად წასვლა დამჭირდა, პენსია უზრუნველყოფილ ცხოვრებას მომცემს, მაგრამ ჯერ კიდევ ვიმუშავებ, მიუხედავად ასაკისა და დიდი სტაჟისა“. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ერთ-ერთმა უძველესმა მუშაკმა ხარატმა ვადაქკორიამ თქვა:

— საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა შესახებ ითქვა პარტიის ისტორიულ XX ყრილობაზე. გავიდა ცოტა ხანი და მთელი რიგი ღონისძიებანი უკვე განხორციელებულია. ახლა ჩვენ შევიტყეთ ახალი გადაწყვეტილება საპენსიო საქმეზე და ვამბობთ: „მადლობა პარტიასა და მთავრობას ზრუნვისათვის!“

ეს უბრალო სიტყვები საბჭოთა ადამიანის გულწრფელ გრძნობებს გამოხატავენ.

სოციალისტური მეურნეობის განვითარების წარმატებანი, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია, საშუალებას იძლევა ამჟამად განვახორციელოთ პენსიით უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესება და აღმოვფხვრათ ამ საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

ახალი კანონის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ იგი ითვალისწინებს მოხუცებულობის გამო პენსიების მინიმალური ოდენობის არსებითს გადიდებას, წესდება მოხუცებულობის გამო პენსიების მიღების შეღავათიანი პირობები იმ პირებისათვის, რომლებიც მუშაობენ მიწისქვეშა სამუშაოზე, ცხელ საამქროებში, აგრეთვე სამუშაოებზე, სადაც შრომის მავნე და მძიმე პირობებია.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენ ყველანი მოწმე ვართ, რომ ამ უკანასკნელ წლებში მიღწეულია ჩვენი საზოგადოების ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლების მნიშვნელოვანი განვითარება. მასების გაზრდილი შემოქმედებითი აქტივობა სულ უფრო ფართოდ არის გამოყენებული და ხმარდება კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევას. ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი, საბჭოთა მთავრობა მუდამ ეთათბირებიან ხალხს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხზე. მშრომელთა ფართო მასების მუდმივი და აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვის საკითხთა განხილვასა და გადაჭრაში ხელს უწყობს ხალხის ჭეშმარიტად დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალების გამოვლინებასა და ამოქმედებას, კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიისა და მთავრობის კავშირს ხალხთან, ამდიდრებს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საქმიანობას ხალხის მასების გამოცდილებით.

განიხილეს რა გამოქვეყნებული სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს ყველა მისი ძირითადი დებულება და შეიტანეს მთელი რიგი ძვირფასი, ყურადსაღები წინადადებანი.

კანონის პროექტის მე-6 მუხლში ნათქვამია, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც მიაღწიეს პენსიების დასანიშნავად საჭირო ასაკს, მაგრამ არა აქვთ სრული პენსიის დასანიშნავად საკმაო მუშაობის სტაჟი, ამავე დროს უმუშავნიათ არა ნაკლებ 5 წლისა, პენსია ენიშნებათ იმ სტაჟის პროპორციული ოდენობით, რომელიც მათ აქვთ, მაგრამ არანაკლებ სრული პენსიის მეოთხედისა. ამასთანავე მუშაკი, რომელმაც იმუშავა 18-19 წელი, ხოლო შემდეგ ამა თუ იმ მიზეზით იძულებული გახდა დაეტოვებინა მუშაობა მოხუცებულობის ასაკამდე, კარგავს პენსიის უფლებას. მეორე მხრივ, ადამიანს, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლეში უმუშავნია სულ 5 წელი, მაგრამ მოხუცებულობას მიაღწია მუშაობის პერიოდში, პენსია დაენიშნება, თუნდაც მეორე დღეს დაანებოს თავი მუშაობას. მე მიმაჩნია, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც მიაღწიეს პენსიის დანიშვნისათვის საჭირო ასაკს, მაგრამ არა აქვთ სრული პენსიის დანიშვნისათვის საკმაო მუშაობის სტაჟი, ამასთან უმუშავნიათ არანაკლებ 10 წლისა, პენსია უნდა დაენიშნოთ არსებული სტაჟის პროპორციული ოდენობით.

შემდეგ. მუშები და მოსამსახურეები, რომლებმაც ჭაბუკობის წლებში დაიწყეს შრომა, მოხუცებულობის გამო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო მუშაობის სტაჟს იძენენ მოხუცებულობის მიღწევამდე. ზოგიერთი მათგანი იძულებული ხდება დატოვოს მუშაობა ინვალიდობის გამო, რომელსაც ხშირად იწვევს ის, რომ მათ ადრე დაიწყეს შრომითი ცხოვრება. პროექტის მე-10 მუხლის მიხედვით კი ამ პირებს მოხუცებულობის გამო პენსია ენიშნებათ მხოლოდ მოხუცებულობის მიღწევის შემდეგ. მანამდე ისინი მიიღებენ ინვალიდობის პენსიას, რომლის ოდენობა ნაკლებია. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონის III განყოფილება შეივსოს მუხლით იმის შესახებ, რომ I ჯგუფის ინვალიდებს, რომლებსაც აქვთ მოხუცებულობის გამო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო შრომითი სტაჟი, უფლება აქვთ აგრეთვე მიიღონ პენსია იმ ოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია კანონის მე-7 მუხლით, განურჩევლად ასაკისა.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი გამოხატავენ საბჭოთა წყობილების უდიდეს ჰუმანიზმს, პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის. საბჭოთა ხალხი პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვას უპასუხებს მძლავრი შრომითი აღმავლობით, რადგან საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ მხოლოდ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის საფუძველზე გამრავლდება საზოგადოებრივი სიმდიდრე, შემცირდება სამუშაო დღე და გაუმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა.

გამოდიოდნენ რა სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის განხილვისადმი მიძღვნილ კრებებზე, საბჭოთა საქართველოს მშრომელნი აღნიშნავდნენ, რომ მზად არიან კიდევ უფრო კარგად, კიდევ უფრო ნაყოფიერად იმუშაონ, რათა ჩვენი ქვეყანა სულ უფრო ჰყვაოდეს და მდიდრდებოდეს. ჭიათურის მარგანეცის მაღაროების მუშებმა ამხ. ოტინაშვილმა და თოდაძემ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის განხილვისას განაცხადეს: პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად ჩვენ ეკისრულობთ ვალდებულებას ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 200-300 ტონა მარგანეცი. ხარატმა ამხ. შლიაპცევმა, რომელიც 20 წელიწადზე მეტია მუშაობს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, თქვა: „მე ვარ ინვალიდი, პენსიონერი. როცა გამოვიანგარიშე, რამდენს მივიღებ პროექტის დამტკიცების შემდეგ, გამოირკვა, რომ ჩემი პენსია ერთისამად და მეტად გადიდდება. სასიხარულოა, რომ პარტია და მთავრობა დიდად ზრუნავენ ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. დღეს ჩვენ განსაკუთრებით შეწყობილად ვმუშაობდით. ცვლის ბოლოს მე შევასრულე ორი დღის დავალება“.

ამხანაგო დეპუტატებო! სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის მშრომელთა ინტერესებს. იგი მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივ ზრუნვას საბჭოთა კავშირის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის. ამიტომ, გამოვხატავ რა საქართველოს მშრომელთა ერთსულოვან აზრს, მე მხარს ვუჭერ წინადადებას სახელმწიფო პენსიების კანონის დამტკიცების შესახებ. **(ტაში).**

სტავროპოლის მხარის კოლმეურნეთა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მიმართვა

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელი დიდი პატრიოტული აღმავლობით იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ყრილობის გადაწყვეტილებებში, რომლებიც ერთსულოვნად მოიწონა ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელმა, გამოხატულია საბჭოთა ხალხის ძირეული ინტერესები, დასახულია მეექვსე ხუთწლედში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიადი პროგრამა.

ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით, სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის დავალებანი მარცვლეულის, მატყლის, ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოების დარგში.

ესმით რა, რომ მარცვლეული მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია, კოლმეურნეობებმა მტს-ების მექანიზატორებთან და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან თანამშრომლობით გაადიდეს საშემოდგომო ხორბლის ფართობები და დათესეს 500 ათასი ჰექტარი სიმინდი, მოიყვანეს წელს კარგი მოსავალი.

ახლა დადგა ყველაზე პასუხსაგები პერიოდი სოფლის მეურნეობაში — დაიწყო მოსავლის აღება. წელს ამინდის პირობების გამო პურის დამწიფება ჩვენში წარსულ წლებთან შედარებით დაყოვნდა 10-15 დღით. ამიტომ მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე ყველა კოლმეურნემ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება მიაქციეს იმას, რომ მოსავლის აღება დაამთავრონ მჭიდრო ვადებში და უდანაკარგოდ, ვადამდე შეასრულონ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პურეულის ცალცალკე აღების პროგრესული წესის ყველგან ფართოდ დანერგვას.

მკის პირველი დღეების გამოცდილება იმას მოწმობს, რომ ცალცალკე აღება მკის ვადების შემცირების, დანაკარგების ლიკვიდაციისა და მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდების საუკეთესო საშუალებაა. ამ საშუალების გამოყენებისას მარცვლეულის დანაკარგები ჰექტარზე 2-5 ცენტნერით მცირდება, რაც მთელ მხარეში მილიონობით ფუთ პურს შეადგენს.

მაგალითად, ვორონცოვო-ალექსანდროვსკოეს რაიონის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში საშემოდგომო ქერი მომკეს ლაფეტიანი სამკალი მანქანით, შემდეგ ღვარეულებიდან მოგროვებული პური გალეწეს შემგროვებლიანი კომბაინით და ჰექტარზე 22 ცენტნერი მარცვლეული მიიღეს. ამავე დროს იმ ნაკვეთზე, სადაც ქერი პირდაპირი კომბაინირებით აიღეს, მიღებულია მხოლოდ 16 ცენტნერი მარცვლეული ჰექტარზე.

მოსავლის ცალცალკე აღებისას ტექნიკის წარმადობა მნიშვნელოვნად დიდდება, მარცვლეულის ხარისხი უმჯობესდება, ღვარეულებიდან გალეწილ პურს ნორმალური ტენიანობა აქვს, რაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაძლებლობას აძლევს უკეთ შეინახონ პური, დაზოგონ ბევრი ძალა, საწსრები და დრო და მარცვლეული დამამზადებელ პუნქტებს ჩააბარონ პირდაპირ კომბაინიდან კალოებზე დაუყრელად და გაუწმენდავად.

ეი ამიტომ მხარის კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაწყვიტეს ამ წესით აიღონ მთელი თავთავიანი კულტურების სულ ცოტა 40 პროცენტი, ვორონცოვო-ალექსანდროვსკოეს რაიონში — 80 პროცენტი, ხოლო მთელ რიგ მტს-ებში — პეტროვსკოეს, საბლანის, კუმის, გრიგორიპოლისის მტს-ებში ნათესების მთელ ფართობზე პურეული ცალცალკე წესით აიღონ.

მკის პირველსავე დღეებში მხარეში ფართოდ გაჩაღდა მექანიზატორების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების სოციალისტური შეჯიბრება ლაფეტიანი სამკალი მანქანებისა და კომბაინების დიდი წარმადობით გამოყენებისათვის, პურის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

პურის ცალცალკე აღებაზე მაღალ გამომუშავებას მიაღწია სტეპნოეს რაიონის ჩუგუევის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა. აქ ოთხ დღეში 22 ლაფეტიანი სამკალი მანქანით მომკილია 3.400 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი. ცალცალკე აღების ოსტატის ივანე ვასილის-ძე გურიევის აგრეგატი დღეში 66-მდე ჰექტარს მკის, მისი ძმის პეტრე ვასილის-ძე გურიევის აგრეგატმა დღიური გამომუშავება 62 ჰექტარამდე აიყვანა. ბუდიონოვსკის რაიონის არხანგელსკის მტს-ის კომბაინერმა ვასილ პავლეს-ძე კუზნეცოვმა ლაფეტიანი სამკალი მანქანის დღიური გამომუშავება 68 ჰექტარამდე აიყვანა, მას ხუთ დღეში მომკილი აქვს 200 ჰექტარი პური. ამავე რაიონის ტომუზლოვკის მტს-ის კომბაინერი გიორგი ივანეს-ძე ჩერბატარიოვი დღეში თითო ლაფეტიან სამკალზე 66-მდე ჰექტარს მკის, 6 დღეში მომკილი აქვს 284 ჰექტარი. არზგირის რაიონის შანგრიკის მტს-ის კომბაინერმა ანდრია ივანეს-ძე სამარსკიმ ერთი სამკალი მანქანის დღიური გამომუშავება 60 ჰექტარამდე აიყვანა; მოსავლის აღების დაწყებიდან მომკილი აქვს 205 ჰექტარი.

მხარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და კოლმეურნეობების მექანიზატორები ჩაბმული არიან შეჯიბრებაში იმისათვის, რომ ლაფეტიანი სამკალი მანქანით ყოველდღიურად მომკან სულ ცოტა 50-60 ჰექტარი პური.

ლაფეტიანი სამკალი მანქანებით მუშაობასთან ერთად ღვარეულთა პურს ლეწავენ კომბაინებით, რომლებსაც აქვთ შემგროვებლები. ეს საშუალებას იძლევა ადრე დავიწყოთ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. მაგალითად, ვორონცოვო-ალექსანდროვსკოეს რაიონის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 10 ათას ცენტნერზე მეტი მარცვლეული, ხოლო მთლიანად რაიონში ჩაბარებულია 36 ათასი ცენტნერი.

ცალცალკე აღება მუშაობის მოფიქრებულ მოწყობას მოითხოვს. მთავარია არ გამოგვეპაროს მკის დაწყების ვადები. ამიტომ მხარის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაწესდა თვითეულ უბანზე პურის დამწიფებისადმი მეთვალყურეობა; მექანიზატორები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა ლაფეტიანი სამკალი მანქანებით მუშაობა მთელ დღე-ღამეს წარმოებდეს ორ ცვლად, ფართოდ მიმართავენ სამკალი მანქანებისა და კომბაინების ჯგუფობრივ გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად ადიდებს კომბაინერთა შრომის ნაყოფიერებას და საშუალებას იძლევა კარგად მოვაწყოთ მოსავლის ასაღები აგრეგატების ტექნიკური და სამეურნეო მომსახურება. გამოთიბვის მოსაწყობად სპეციალურად გადაკეთდა თვითმავალი კომბაინები.

პურის აღებასთან ერთად კოლმეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები უვლიან სიმინდსა და სხვა სათოხნ კულტურებს და ამზადებენ საკვებს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის.

სტავროპოლის, პიატიგორსკის, ჩერკესკის, კისლოვოდსკისა და მხარის სხვა ქალაქების მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ მოსავლის აღებასა და პურის დამზადებაში, გზავნიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ადამიანებსა და ავტოტრანსპორტს.

ვიბრძვით რა პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და ვითვალისწინებთ რა ჩვენს შესაძლებლობებს, ჩვენ, სტავროპოლის მხარის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. მოკლე ვადებში ავიღოთ მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავალი, ამასთან სულ ცოტა 800 ათას ჰექტარზე — ცალცალკე. უზრუნველყოთ თვითეული ლაფეტიანი სამკალი მანქანის სადღეღამისო წარმადობა სულ ცოტა 40 ჰექტარის ოდენობით, „ს-6“ მარკის კომბაინისა პურის შეგროვებასა და გალეწვაზე სულ ცოტა 30 ჰექტარის ოდენობით და „ს-4“ მარკის კომბაინისა — 25 ჰექტარის ოდენობით.

2. ვადამდე, არაუგვიანეს 15 აგვისტოსი, თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შეასრულოს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. ჩავაბაროთ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 25 მილიონი ფუთი, ხოლო სულ 100 მილიონი ფუთი — ერთიორად და უფრო მეტი, ვიდრე 1955 წელს ძირითადად ძვირფასი სასურსათო კულტურა — ხორბალი. ვორონცოვო-ალექსანდროვსკოეს რაიონი პურის დამზადების გეგმას შეასრულებს 25 ივლისისათვის, ხოლო გეორგიევსკის, სტეპნოეს, ბუდიონოვსკის, ლევოკუმსკოეს, კურსკაიას, პეტროვსკოეს, არზგირის და იპატოვოს რაიონები — არა უგვიანეს 1 აგვისტოსი.

შევინახოთ სათესლე ფონდები, უზრუნველვყოთ კოლმეურნეებისათვის შრომადღეებზე პურის გაცემა, შევინახოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის კონცენტრირებული საკვები საჭირო რაოდენობით.

3. თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოვიყვანოთ უძვირფასესი სამარცვლე საფურაქე კულტურის — სიმინდის, აგრეთვე მზესუმზირას, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი. ამისათვის უზრუნველვყოფთ ნათესების გულმოდგინე მოვლას და სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებს.

4. თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შეასრულოს თივისა და სხვა უხეში საკვების დაგროვების გეგმები, შექმნას თივის საჭირო სადაზღვევო მარაგი სამომთაბარო საძოვრებზე, თავის დროზე მიზიდოს საკვები პირუტყვის გამოზამთრების ადგილებში. კალოზე აღებული საკვების კარგად შესანახავად პურის მკასთან ერთად უზრუნველვყოფთ მინდვრებში ნამჯის აღებას და ფართოდ დავნერგავთ ნამჯის ბლოკურ დადგმას.

5. თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შექმნას სილოსის საჭირო მარაგი თითო ძროხაზე სულ ცოტა 10 ტონის, დედაღორზე 4 ტონის და თვითეულ ცხვარზე 1,5 ცენტნერის ეკვივალენტი. ამისათვის თავის დროზე მოვამზადებთ ორმოებსა და ტრანშეებს სიმინდის დასასილოსებლად. დავთესავთ სიმინდს ნაწვერალზე სულ ცოტა 500 ათას ჰექტარზე, რაც იქნება პირუტყვისათვის სილოსისა და მწვანე მასის წარმოების გადიდების დამატებითი დიდი რეზერვი.

6. მოვაწყოთ მიმდინარე წელს საშემოდგომო კულტურების თესვა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, დავთესოთ მაღალხარისხოვანი ჯიშიანი თესლი, ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად, თავის დროზე მოვხნათ მზრალი.

მოვუწოდებთ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს უფრო ფართოდ გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღების მოწყობისათვის, პურის ცალცალკე აღების პროგრესული წესის ფართო გამოყენების საფუძველზე პურის დამზადების სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

ამით კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას, დავეხმარებით პარტიასა და მთავრობას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

მიმართვა განხილულია სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ლიტერატურა და ხელოვნება

კონსტანტინე ლორთქიფანიძის თხზულებანი

„—ე ბიჭო, ერთი სარმა!

— კისრულით!

— მიდი, ნუ გეშინია! — გაიძახიან ჭიდაობით გაფიცხებული ბიჭები.

ზოლებიან ახალუხში გამოწკეპილი მედოლე საჭიდაოს უკრავს. ხან შეანელებს სისხლის ამფორიქებელ ბაგაბუგს, ხან კიდევ დოლს ერთბაშად შეატრიალებს და ზედ ისე სეტყვასავით დააყრის თითებს, რომ მოჭიდავეებს ცეცხლი ეკიდებათ“.



რამდენ საინტერესო მოგონებას აღუძრავს მკითხველს ეს ორიგინალური დასაწყისი მაღალი მხატვრული ოსტატობით დაწერილი რომანისა „კოლხეთის ცისკარი“, რომელმაც კონსტანტინე ლორთქიფანიძე სამართლიანად დააყენა ქართული საბჭოთა პროზის ფუძემდებელთა რიგებში.

ამ რომანმა თემის აქტუალობითა და შესრულების ოსტატობით თავიდანვე მოიპოვა უფლება გამხდარიყო ჩვენი ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდის და იდეური გამოწრთობის საშუალება. მან პირველი გამოცემიდანვე მკვიდრი ადგილი დაიკავა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოში, როგორც საბჭოთა პროზის საუკეთესო ნიმუშმა, ჩვენი სოციალისტური ეპოქის მჩქეფარე ცხოვრების რეალისტურად ამსახველმა, იდეურად და მხატვრულად სრულყოფილმა ნაწარმოებმა.

სწორედ რომანი „კოლხეთის ცისკარი“ წარმოადგენს კონსტანტინე ლორთქიფანიძის თხზულებათა პირველ ტომს, რომელიც შარმან გამოსცა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ.

წელს გამოვიდა მეორე ტომი. ამ წიგნში შესულია კ. ლორთქიფანიძის მოთხრობები: „მწვანე ღილი“, „მოგზაური“, „როგორ მოკვდა მებადური“, „ერთხელ ღამით“, „უკვდავება“ (ბელორუსული მოთხრობები), „მაისის დილა“, „თერგის ყორღანებში“, „ჯარისკაცი“, „პირველი დილა“ და რომანი „ნატვრის თვალი“ (პირველი ნაწილი).

გამოკვეთილი სიუჟეტი, მხატვრული გადაწყვეტის ოსტატობა, მკაფიო და დახვეწილი ქართული ენა, თხრობის სისადავე, ბუნებრივი დიალოგები — აი რა ხდის კ. ლორთქიფანიძის მოთხრობებსა და რომანებს საინტერესოსა და მიმზიდველს.

რამდენი აზრი, გრძნობები და ადამიანის სულიერი სისპეტაკე არის ჩაქსოვილი მოცულობით პატარა, მაგრამ დიდი იდეალებით შთაგონებულ ბელორუსულ მოთხრობებში.

„ქართველ მწერლებთან ერთად ბელორუსიაში ვიმოგზაურე, — მოგვითხრობს მწერალი. — კიდით-კიდემდე შემოვიარე ეს აყვავებული სტუმართმოყვარე ქვეყანა.“ ბოლოს ვინახულე ნისლიანი, ტყიანი და ტბებით სავსე პოლესიე, სადაც რამდენიმე კვირა გავატარე მებადურის ოჯახში“...

ამ მებადურის ნაამბობმა შთააგონა მწერალს დაეწერა ოთხი მოთხრობა. როგორც კ. ლორთქიფანიძის სხვა მოთხრობები, ეს ოთხი ნაწარმოებიც გამოირჩევა თემის აქტუალობით, პოეტური ოსტატობით, ცხოვრების ღრმა ცოდნითა და ქართული ენის დიდი სიყვარულით.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე დიდი სამამულო ომის მონაწილეა. ფრონტზე მიღებულმა განცდებმა შთააგონა მწერალს შეექმნა საინტერესო ნაწარმოები „მწვანე ღილი“ და სხვა მოთხრობები სამამულო ომის თემაზე.

„მწვანე ღილი“ საბჭოთა ადამიანების მტკიცე ნებისყოფისა და შეუდრეკელი სულის, ხალხთა მეგობრობისა და დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი მშრომელთა უანგარო სიყვარულის მართალი სიმღერაა. მკითხველს არასოდეს არ დაავიწყდება სახე ხანშიშესული ოსი ქალისა, რომელიც სოფელში დაბანაკებულ ჯარისკაცებს მუღამ ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: „ქართველი თუ ხარ ვინმე, შვილო?“

და როდესაც ქართველს მონახავდა, ნაღვლიანად იტყოდა: „... აქ მარხია ჩემი სიცოცხლე... ჩემი ფატიმა! ჯაჯთან ნაწოლი დედაკაცის ნაშიერმა მომიკლა იგი... შენ ბრძოლაში მიდიხარ, შვილო. ერთს ტყვიას ჩემი შვილის სახელი დაარქვი!“.

როგორც ტარასი ხაზარაძე, მექი, აგრონომი ლადო გეგელია მკითხველისათვის დაუვიწყარი გმირებია რომანიდან „კოლხეთის ცისკარი“, ასევე დაუვიწყარი მხატვრული სახეებია ალიოშა გოლიკოვი, ლადო ვაშალომიძე, გმირი ქალიშვილი ფატიმა მოთხრობიდან „მწვანე ღილი“.

და კიდევ რამდენი საინტერესო — დადებითი და უარყოფითი ტიპები ჰყავს დახატული მწერალს სხვა მოთხრობებში, რომლებიც ყურადღებას იქცევენ სათუთად გამოკვეთილი, მეტად ორიგინალური, ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათებით.

პირველი ნაწილი რომანისა „ნატვრის თვალი“, რომელიც ასახავს სოციალისტური მშენებლობის მეტად აქტუალურ მოვლენებს, დიდი ინტერესით იკითხება. აქაც ცხოვრების მართალი სურათების დახატვის დროს მწერალი ამჟღავნებს საკუთარი თავისადმი დიდ მხატვრულ მომთხოვნელობას, რაც დამახასიათებელია მისი სხვა რომანისა და მოთხრობებისათვის.

მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს შარმან შეუსრულდა დაბადების 50 წლისთავი. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა და იგი ორდენით დააჯილდოვა. თხზულებათა I და II ტომი, რომელთა გამოცემა ამ თარიღს დაემთხვა, კ. ლორთქიფანიძის განვლილი შემოქმედებითი შრომის შეჯამებაა. იგი კარგ საჩუქარს წარმოადგენს ჩვენი ხალხისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის.

ბ. თათარიშვილი.

საინტერესო წიგნი

ვინც ბორჯომის ხეობაში არა ყოფილა და არ იცნობს მას, **ანი ლაზარიდი-ციციშვილის** საინტერესო წიგნი შეუვსებს ამ ხარვეზს, ხოლო ვისაც ამ ხეობაა კურორტებზე დაუსვენია, მას დაეხმარება მეცნიერული ანალიზი გაუკეთოს ნანახსა და განცდილს. ეს არის წიგნი — **„ბორჯომი. ბორჯომის რაიონის საკურორტო რესურსები“**, რომელიც ამ ახლო ხანში საქმედგამმა გამოსცა. ამ წიგნის მეშვეობით მკითხველი ეცნობა ბორჯომისა და მისი ხეობის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მნიშვნელობას. წიგნში ფართოდ მიმოხილული და მეცნიერულად გაშუქებულია მრავალი საინტერესო საკითხი, მათ შორის: ბორჯომის რაიონის კურორტებისა და სამკურნალო ადგილების რესურსების კადასტრი; ამ რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური დახასიათება, ჰიდროგეოლოგია, მინერალური წყლის ქიმია, მისი ჩამოსხმის დინამიკა.

წიგნში მოცემულია დაწვრილებითი ცნობები ბორჯომისა და მისი ხეობის კურორტებზე არსებული სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შესახებ.

ახალი სპექტაკლები

„ალეკო.“

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მორიგ პრემიერად წარმოდგენილ იქნა ს. რახმანინოვის ოპერა „ალეკო“.

ოპერას დირიჟორობს ჯ. გოკიელი, დადგმა განახორციელა საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დიპლომანტმა გ. გაჩეჩილაძემ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის შ. ჩიქოვანს, ცეკვების დადგმა — რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ვ. ივაშკინს.

პარტიებს ასრულებენ შ. თაბუკაშვილი, მ. ამირანაშვილი, ზ. ანჯაფარიძე, თ. მუშკუდიანი, ვ. მიხაილოვა. ცეკვებში მონაწილეობენ ი. იასინსკაია და საბალეტო დასის სხვა მსახიობები.

ოპერა „ალეკოს“ პრემიერის მეორე დღეს — 8 ივლისს ოპერა „აბესალომ და ეთერით“ თეატრმა დახურა მიმდინარე სეზონი.

„პირველი მერცხლები“

რუსთაველის სახელობის თეატრმა წარმოადგინა თანამედროვეობის აძსახველი ახალი სპექტაკლი — ო. ჩიჯავაძის კომედია „პირველი მერცხლები“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა რეჟისორმა დ. ალექსიძემ, ხელოვნებათ დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა ი. ასკურავამ და ახალგაზრდა კომპოზიტორმა ს. ნასიძემ.

მონაწილეობდნენ ქ. დუგლაძე, რ. ჩხეიკვაძე, სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. აფხაიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. შესხიაშვილი, გ. კიკნაძე, გ. გეგეჭკორი, ძსახიობები ლ. ჩხეიძე, თ. თარხნიშვილი, ი. ჯიხჯიხაძე, ვ. ჩიტიშვილი, ლ. ყაზაიშვილი და სხვ.

„მეფე ერეკლე“

ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ლ. გოთუას დრამა „მეფე ერეკლე“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. ტაბლიაშვილს, მხატვრობა — სტალინური პრემიის ლაურეატს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. სუმბათაშვილს, მუსიკა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. კერესელიძეს.

როლებს ასრულებენ სტალინური პრემიის ლაურეატები, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ვ. გოძიაშვილი (ერეკლე მეორე) და გ. შავგულიძე (საითნოვა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. ტრიპოლსკი (ბესიკი), ა. გომელაური და კ. დაუშვილი. სტალინური პრემიის ლაურეატი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ოძიაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ზ. გომელაური, ძსახიობები ძ. ძგელაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. თეთრაძე და სხვ.

კური სახელმწიფოს

ზითელწყარო. (სპეც. კორ.). ცხარე დღეებია ზითელწყაროს რაიონში. დიდი და პატარა გამოსულა მინდვრად, უხვად შემოსულ მოსავალს იღებენ. კალოებიდან მოედინებიან ლამაზად მორთული, პლაკატებითა და ლოზუნგებით დამშვენებული ავტომანქანების კოლონები. კოლმეურნეობები სახელმწიფოს პურს აბარებენ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ საბათლოს კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ემა დავთიანი).

პირველი პური „ზაგოტზერნოს“ ზითელწყაროს დამზადების პუნქტისაკენ საბათლოდან წამოვიდა. აქ უკვე მთლიანად მოიხადეს სახელმწიფო ვალდებულება — ჩააბარეს 800 ტონა ხარისხოვანი პური.

თავდადებულად მუშაობენ სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ნ. ყოჩიაშვილი). კოლმეურნეობას შირაქში კარგად მოუწყვია მექანიზებული კალო. აქედან მანქანებით მაღალხარისხოვანი მარცვალი მიდის „ზაგოტზერნოს“ ზითელწყაროს დამამზადებელ პუნქტში. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ავტომანქანის მძღოლი გ. ბოსტოღანაშვილი. მას ყოველდღიურად შეუფერხებლად მიაქვს პური სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს უკვე ჩააბარა 400 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ხორბალი. ორგანიზებულად დაიწყეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება სოფელ ზითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ა. დარჩიაშვილი), სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ა. კობაიძე) და სხვა კოლმეურნეობებმა.

მიმღები პუნქტის მუშაკები შეუფერხებლად იღებენ მარცვლეულს. აქ სამუშაოთა მთელი პროცესი მექანიზებულია.

სურათზე: „ზაგოტზერნოს“ ზითელწყაროს დამამზადებელ პუნქტში პურის ჩაბარება.

ფოტო შ. გოქაძისა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში

სახალხო მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ყოველწლიურად ფართოვდება სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი. მთელ რიგ ქალაქებში აშენდა ახალი საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, აფთიაქები. რესპუბლიკის შორეული რაიონების პატარა დასახლებულ პუნქტებს, სადაც ჯერჯერობით პოლიკლინიკები კარგად არ არის მოწყობილი, მომსახურებას უწევენ მოძრავი ამბულატორიები. ეს ამბულატორიები მოწყობილია დიდ ავტობუსებზე, სადაც დადგმულია საჭირო სამედიცინო აპარატურა. ისინი კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას უწევენ მოსახლეობას.

უნგრეთის მშრომელებს აქვთ კონსტიტუციით გარანტირებული უფლება ყოველწლიურად მიიღონ ხელფასიანი შვებულება. დიდი თანხები იხარჯება მშრომელთა საზაფხულო დასვენებასა და მკურნალობაზე. თავისუფალ უნგრეთში საყოველთაო-სახალხო საკუთრება გახდა სანატორიუმები და კურორტები, რომლებიც წინათ მხოლოდ ბურჟუაზიის განკარგულებაში იყო. სახალხო ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში აშენდა ახალი დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები. ათეული ათასობით უნგრელი მშრომელი ყოველწლიურად ატარებს შვებულებას კეთილმოწყობილ დასასვენებელ სახლებში, რომლებიც რესპუბლიკის თვალწარმტაც ადგილებში მდებარეობენ.

სურათზე: მშრომელები, რომლებიც მატრახაზაში ისვენებენ, ირჩევენ წიგნებს დასასვენებელი სახლის ბიბლიოთეკაში.

ფოტო მადიარ ფოტოსი.

ინგლისში ჩავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია

ლონდონი, 12 ივლისი. (საკდესი). ღღეს ლონდონში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრი ე. ა. ფურცევა.

ნერუს მომავალი ჩასვლა იუგოსლავიაში

ბელგრადი, 12 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ბორბა" იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ იუგოსლავიაში ჩამოვა 17 ივლისს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიცხვის ახალი შემცირება

ბუქარესტი, 12 ივლისი. (საკდესი). გაზეთებმა დღეს გამოაქვეყნეს ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

გაითვალისწინა რა შედეგები, რომლებიც დღემდე მიღწეულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, რომელიც ერთგულია მშვიდობის პოლიტიკისა, გადაწყვიტა 1956 წლის 1 სექტემბრამდე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიცხვი შემაციროს კიდევ 20 ათასი კაცით. ამ შემცირების შედეგად განთავისუფლებული პერსონალი გაგზავნება სახალხო მეურნეობის საწარმოო უბნებზე. განთავისუფლებული ფულადი ფონდები და მატერიალური სახსრები მოხმარდება სახალხო მეურნეობის მშვიდობიანი მშენებლობის განვითარებას და სხვა სოციალურ-კულტურულ საჭიროებებს.

აზომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საბჭოთა გამოფენა პეკინში

პეკინი, 12 ივლისი. (საკდესი). ჩინეთის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა კავშირის ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების მეცნიერულ-ტექნიკური გამოფენისადმი, რომელიც პეკინში მოეწყო. დღემდე გამოფენა დაათვალიერა უკვე 88 ათასზე მეტმა კაცმა ჩინეთის სხვადასხვა რაიონიდან. დამთვალიერებელთათვის გამოფენაზე ყოველდღე ეწყობა თემატური ლექციები და საუბრები, აგრეთვე იმართება კონსულტაციები საბჭოთა კავშირში მშვიდობიანი მშენებლობის მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების სხვადასხვა საკითხზე.

პეკინის მშრომელთა თხოვნით საბჭოთა გამოფენის მუშაკებმა საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში წაიკითხეს ლექციები რადიოაქტიური იზოტოპების გამოყენების შესახებ მრეწველობაში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში, მათი როლის შესახებ საწარმოო პროცესების ავტომატიზაციაში და სხვ.

საბჭოთა მეცნიერებმა აკადემიკოსმა არციმოვიჩმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა კრუტილინმა ჩინელ მეცნიერებს წაუკითხეს მოხსენებები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის თერმოატომგულის კონტროლირებული რეაქციების შექმნის შესაძლებლობა და სსრ კავშირში ატომის ენერგეტიკის განვითარების გეგმა მეექვსე ხუთწლედში.

„ჟენმინჟიბაო" ჯაივანზე ნიქსონის გამგზავრების მიზნების შესახებ

პეკინი, 12 ივლისი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ნიქსონის გამგზავრებას ტაივანზე და მის მოლაპარაკებას ჩანკაიშელებთან, გაზეთი „ჟენმინიბაო" წერს, რომ ნიქსონის ეს ვიზიტი კვლავ მოწმობს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ისწრაფვიან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოკუპირებული ჰქონდეთ ტაივანი და აპირებენ ხელი შეუშალონ ტაივანის რაიონში დაძაბული მდგომარეობის შენელებას.

„ჟენმინჟიბაო" აღნიშნავს, რომ ნიქსონის ვიზიტი ტაივანზე ვაშინგტონმა მას შემდეგ მოაწყო, რაც პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მესამე სესიაზე განაცხადა, რომ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ტაივანის ხელისუფლებთან ტაივანის მშვიდობიანი განთავისუფლების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები შიშობენ, რომ ტაივანის მშვიდობიანი განთავისუფლებას შედეგად ისინი ტაივანს დაკარგავენ როგორც თავიანთ სამხედრო ბაზას და რომ ეს გამოიწვევს აზიასა და მთელ მსოფლიოში დაძაბული მდგომარეობის შემდგომ შენელებას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის მიმართვა ვიეტნამელი ხალხისადმი

ხანოი, 12 ივლისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივმა კომიტეტმა მიმართა ვიეტნამელ ხალხს მოწოდებით იბრძოლოს ვიეტნამის ეროვნული ერთიანობისათვის. მმართველობაში ნათქვამია, რომ ვიეტნამელი ხალხი ერთიანია ყოველმხრივ — ენით, ტერიტორიით, ეკონომიური და კულტურული ცხოვრებით. ჟენევის თათბირის მონაწილეებმა ცნეს ვიეტნამის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა და განსაზღვრეს, რომ ვიეტნამის გაერთიანების მიზნით 1956 წლის ივლისში უნდა მოხდეს საყოველთაო არჩევნები. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი ზუსტად ასრულებენ ჟენევის შეთანხმებას. მაგრამ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი ამერიკელ იმპერიალისტთა მხარდაჭერით განზრახან ამბობენ უარს საკონსულტაციო კონფერენციის მოწყობაზე, ისწრაფვიან არ დაუშვან საყოველთაო არჩევნები, ჩაშალონ ჟენევის შეთანხმებათა შესრულება და გადაიქციონ სამხრეთი ვიეტნამი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზად. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრება მოუწოდებს ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამის მთელ ხალხს გაერთიანოს თავისი ძალები და დაუცხრომლად იბრძოლოს ჟენევის შეთანხმებათა საფუძველზე მშვიდობის განმტკიცებისა და ეროვნული ერთიანობის მიღწევისათვის.

ამერიკის დაზვერვის მეთოდების მხილება

ბერლინი, 13 ივლისი. (საკდესი). გუშინ ბერლინში საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენლის დასწრებით გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც გამოაქვეყნეს დასავლეთ ბერლინიდან მოქმედი ამერიკის დაზვერვის დანაშაულებრივი საქმიანობის ახალი ფაქტები. პრეს-კონფერენციის დამსწრეთა შორის იყვნენ დასავლეთ ბერლინის ჯაშუური ორგანიზაციების ყოფილი აგენტები, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დაუპატიმრეს ან ნებაყოფლობით გამოცხადდნენ ამ ორგანოებში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა ილაპარაკა, კერძოდ, ბერლინის დემოკრატიული სექტორის ახალგაზრდობაში აგენტების შეგროვების იმ მეთოდებსა და ხერხებზე, რომლებსაც ამერიკის დაზვერვა იყენებს. მან დაასახელა ბევრი აგენტი და შემგროვებელი, რომლებიც ამერიკის დაზვერვის დავალებით მუშაობენ და რომლებმაც მოახერხეს გადაებირებინათ რამდენიმე მერყეული ახალგაზრდა ადამიანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯაშუური საქმიანობისათვის. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ასამდე ჭაბუკი, რომლებიც წინათ გადაიბირეს ჯაშუური მუშაობისათვის, ნებაყოფლობით გამოცხადდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში.

შემდეგ შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ ამერიკის ყოფილი აგენტები ლ. პილერი და გ. დილგე, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დაუპატიმრეს, და ყოფილი აგენტი გებლერი, რომელიც ნებაყოფლობით გამოცხადდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. მათ ილაპარაკეს, რომ საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, თუ როგორია აგენტების შეგროვების ხერხები და მეთოდები, რომლებსაც ამერიკის დაზვერვა იყენებს. ეს არის მოსყიდვა, შანტაჟი, დაშინება და ყალბი დაპირება.

პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ ყოფილი აგენტები, რომლებიც ერთ დროს ამერიკის დაზვერვის მსხვერპლი გახდნენ და თავიანთი დანაშაული მოინანიეს, არ დაისჯებიან.

შემდეგ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრი ფ. ებერტი. მან დაგმო დასავლეთ ბერლინის ჯაშუური ორგანიზაციების დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელიც მიმართულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. გერმანელი ხალხის მშვიდობისა და ეროვნული ინტერესების საქმის წინააღმდეგ.

ეგვიპტეში იემენის საელჩოს წარმომადგენლის განცხადება

კაირო, 12 ივლისი. (საკდესი). როგორც არაბეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ეგვიპტეში იემენის საელჩოს წარმომადგენელმა ღუს განაცხადა, რომ, იემენის მთავრობისაგან მიღებული ცნობების თანახმად, ადენის ინგლისელმა ხელისუფლებმა თავი მოუყარეს სამხედრო ძალებს, არტილერიასა და ტანკებს იემენის სამხრეთ საზღვარზე ქალაქების ბეიხანისა და ხაბიბის რაიონში.

იემენის მთავრობა, ამ წარმომადგენლის სიტყვით, პროტესტს აცხადებს ინგლისის ხელისუფალთა ასეთი მოქმედების წინააღმდეგ იმ მომენტში, როცა ღონისძიებებს იღებენ იემენსა და ინგლისს შორის უთანხმოების მოსაწესრიგებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეარელი. ახალი ადმინისტრაციული სახლის ხედი. ფოტო მ. თელიაშვილისა.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ

ამ დღეებში ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, მთავრდება მზადება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის.

პირველი სრულიად საკავშირო სპარტაკიადა გაიმართა 28 წლის წინათ — 1928 წელს. იმ დროს იგი იყო მსოფლიო სპორტის ისტორიაში უმაგალითო მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სსრ კავშირის მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში.

28 წელი გვაშორებს იმ ღირსშესანიშნავ დღეებს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დიდად გაიზარდა ფიზკულტურელთა რიცხვი, შექმნილია მრავალი ათასი ახალი სასპორტო კოლექტივი, აშენდა სტადიონები. მრავალჯერ გადაპარბებულ იქნა ის მაჩვენებელები, რომლებიც სარეკორდო იყო პირველ სრულიად საკავშირო სპარტაკიადაზე.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, რომლის ალამი მოსკოვში აფრიალდება ნ აგვისტოს, ძლიერთა, გაბედულთა, გამბლეთა შეჯიბრებაა. იგი ახალი ეტაპი იქნება საბჭოთა სპორტის განვითარებაში. ამასთან სპარტაკიადა იქნება ხალხის, პარტიისა და მთავრობის წინაშე ფიზკულტურელთა ანგარიში მათი მიღწევებისა და რიგების ზრდის შესახებ.

მოსკოვში სპარტაკიადის დასკვნითს ეტაპზე საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან ჩამოვა დაახლოებით 10 ათასი კაცი — საუკეთესოთაგან საუკეთესო სპორტსმენები. სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას წინ უძღვიდა დიდი და ხანგრძლივი მზადება, რაც ჯერ კიდევ 1955 წელს დაიწყო. სულ მოკლე ხნის წინათ დამთავრდა სპარტაკიადები ჩვენი ქვეყნის რაიონებში, ქალაქებსა და ოლქებში. მთავრდება მოკავშირე რესპუბლიკების სპარტაკიადები.

მიმდინარეობს დაძაბული ბრძოლა, უადრესად მკაცრი შერჩევა, რათა მოსკოვში ყველაზე უფრო ღირსეული სპორტსმენები გაიგზავნონ. თუ რაოდენ მკაცრია ეს შერჩევა, ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ქალაქ მოსკოვის სპარტაკიადის მონაწილეებისაგან, რომელთა რიცხვი თითქმის 300 ათას კაცს აღწევდა, დედაქალაქის ნაკრები კოლექტივის შემადგენლობაში შევიდა მხოლოდ 500 კაცი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამა ფართოა. მისი მონაწილეები ერთმანეთს შეეჯიბრებიან სპორტის თითქმის ყველა სახეობაში.

სპარტაკიადის მონაწილეებს მაღალი მოთხოვნები წარედგინებათ.

როგორც ცნობილია, სპარტაკიადა გაიხსნება ახალ სტადიონზე ლუჟნიკში. თუ რაოდენ დიდია ეს ნაგებობა, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ცენტრალური სტადიონის მთავარი ასპარეზის ტრიბუნებზე შეიძლება მოთავსდეს 100 ათასი კაცი.

სპარტაკიადის პროგრამის დიდი მოცულობის გამო სპორტის ზოგიერთ სახეობაში შეჯიბრებისათვის გამოყენებულ იქნება მოსკოვის სხვა სასპორტო ნაგებობანი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილე ყველა ნაკრები კოლექტივი იბრძოლებს იმ პრიზებისათვის, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააწესა. ამ პრიზებს მიიღებენ ის კოლექტივები, რომლებიც სამ საუკეთესო ადგილს დაიკავებენ საერთო გუნდური პირველობის გათამაშებაზე. გარდა ამისა, უძლიერესი გუნდები სპორტის თვითეულ სახეობაში დაჯილდოებულ იქნებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზებით.

ახლოვდება დედაქალაქში უძლიერესთა შეხვედრის დღეები, სპარტაკიადის გუნდურ პირველობასთან ერთად გათამაშდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაც. ეს არ გრცელდება მხოლოდ ფეხბურთელებზე. ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები გაითამაშებენ მხოლოდ სპარტაკიადის პირველობას.

თვალუწვდენი საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდის სასიხარულო ცნობები, რომ ახალ წარმატებებს აღწევენ სპორტსმენები, კერძოდ, ახალგაზრდები, რომლებიც აღიარებული ოსტატების ღირსეულ ცვლას წარმოადგენენ.

კიდევ ცოტა ხანი, და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში დაიწყება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა.

ს. რიჟინაშვილი.

მოსკოვი.

რედაქტორის მოადგილე რ. ჟურციკიძე.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის (მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის გასტროლები) — ქორდი, რუსთაველის სახელობის — პირველი მერცხლები, მარჯანიშვილის სახელობის — მეფე ერეკლე, ფილარმონიის საზაფხულო თეატრში (მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის გასტროლები) — ლამაზი მამაკაცი.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, თბილისი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ისანი (საზამთრო), პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — გადამწყვეტი წუთები, ოქტომბერი (საზამთრო), ისანი (საზაფხულო) ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო), მილიციის სამმართველოს საზაფხულო კლუბი, კომუნარების ბაღი — აურზაური არაფრისათვის, კოლხიდა (საზამთრო), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), ოფიცერთა სახლი — პირველი სიხარული, კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი — ბოლიციელები და ქორდები, ამირანი (საზაფხულო) — დაბრუნდი სორენტოში. კომკავშირელი — ტერეზა რაკენი, კოლხიდა (საზაფხულო) — მზითვიანი ქორწილი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — მოხუც აშირის ეშმაკობა, დიდუბე (საზამთრო) — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, დიდუბე (საზაფხულო) — მე და ჩემი ცოლი.

მოქალაქე გიორგი გიორგის-ძე აშკარელმა, მცხოვრებმა ქ. თბილისში, ნამგლის ქ. № 13, აღძრა საქმე ყვარლის ფოსტის სიერთო საცხოვრებელში მცხოვრებ მოქალაქე ნინო დავითის ასულ აშკარელთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე კეთილაძემ, მცხოვრებმა მოსკოვის ქ. № 4, აღძრა საქმე პლეხანოვის პრსპ. № 102 მცხოვრებ მოქალაქე ჯულიეტა პლატონის ასულ ღლონტთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-5 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ისაი დემიანის-ძე მალცევმა, მცხოვრებმა პეროვსკაიას ქ. № 2, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ალექსანდრა სერგის ასულ ყუფარაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები იუწყებიან საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ეკატერინე ესტატეს ასულ თარხნიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 14-VII, 5 ს. ბარნოვის ქ. № 56.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი იუწყებიან სამხონ ხილიბისტროს-ძე უჩანეიშვილის გარდაცვალებას.

მეუღლე ერმილე, შვილები ვერა, ნიკოლოზ, ეკატერინე, სიძეები გ. ლუტიძე, თ. დუნდუა და შვილიშვილები იუწყებიან ბახიკო ესეს ასულ ბოლქვაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-VII, 8 ს. გამოსვენება 15-VII, 6 ს. ჩოდრიშვილის ქ. № 93.

მეუღლე ალექსი, დედა მაკა, შვილები მარო, ციალა, აკაკი, სიძე ვ. ბიწკინაშვილი, დები ვარა, თამარ, მარგო ოჯახებით იუწყებიან ანა ნიკოლოზის ასულ ჭოტორლიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VII, 5 ს. სოფელ შაშიაზში (გურჯაანის რ.).

შვილები ნადია, ვერა, მეკი, კოტე, რძლები კატო, ელენე, სიძეები ს. ბენიძე, ნ. კუხალაშვილი და შვილიშვილები იუწყებიან ალექსანდრე კოტეს-ძე ყურაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VII ცაგერში.

მეუღლე ოლია, შვილები ოთარ, ნანა, და ტატიანა იუწყებიან ვასილ სიმონის-ძე ჭარხალაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-VII, 8 ს. გამოსვენება 15-VII, 5 ს. 25 თებერვლის ქ. № 7.

მეუღლე ელიზბარ, შვილი ნაოელა, ძმა არჩილ, დები ნინო, ქეთო ოჯახებით იუწყებიან ანა ოსიბის ასულ მაღალაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-VII, 8 ს. გამოსვენება 15-VII, 6 ს. პაკისის ქ. № 7.

შვილი სანდრო, რძალი ქეთო თოდრაძეები და შვილიშვილები იუწყებიან სონია ალექსანდრეს ასულ თოდრაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VII სოფელ ფამფალეთში (მახარაძის რ.).

მეუღლე ია, შვილები დავით, შოთა, ვალიკო, ოთარ, რძლები ლუბა, ეთერ, ნათელა იუწყებიან ფეფო ჭიტესას ასულ კობიაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VII, 6 ს. მარტყოფში.

მეუღლე ოლიმა, შვილები ოთარ, ბიბილეგა, ბიბილეგა, ბიბილეგა